

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“

სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020 - 2026



## შესავალი

სტრატეგიული განვითარების გეგმა (შემდგომში – სტრატეგიული გეგმა) წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც აღწერს კოლეჯის მიზნებისა და ხედვებიდან გამომდინარე მის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ მას განიხილავს როგორც სამომავლო განვითარების მთავარ მარეგულირებელ დოკუმენტს, რათა გააგრძელოს სწრაფად განვითარების პროცესი და ჩამოყალიბდეს, როგორც ერთ-ერთი წარმატებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში.

სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ სტრატეგიული გეგმა ეფუძნება როლისა და დანიშნულების გააზრებას. მისი შესრულება ხელს შეუწყობს კოლეჯის განვითარებას ადამიანური, მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენებით. გარდა ამისა, სტრატეგია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდას, კოლეჯის პერსონალისა და სტუდენტებისთვის მხარდაჭერის მექანიზმების შეთავაზებას, შრომის ბაზრის მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას/ხელშეწყობას.

## კოლეჯის ისტორია

სსიპ კოლეჯს „ლაკადა“ რამდენიმე ათეული წლის მუშაობის გამოცდილება გააჩნია. ის დაარსდა 1983 წელს, როგორც პროფესიული ტექნიკური სასწავლებლი. არსებობის პერიოდში სტატუსი რამდენიმეჯერ შეიცვალა. კერძოდ, 1993 წელს მრავალდარგოვან სახელმწიფო კოლეჯად გადაკეთდა, 2007 წელს პროფესიული სწავლების ცენტრად. 2011 წლის მაისიდან კი

ფუნქციონირებს, როგორც სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“. 2019 წლიდან ფუნქციონირებს, როგორც სსიპ კოლეჯი „ლაკადა“.

კოლეჯი ამ ეტაპზე ახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ მრავალპროფილიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართლის ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები; ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა; მომსახურებები; სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერიანარია; ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი დიპლომი.

კოლეჯი მდებარეობს ოკუპირებული აფხაზეთის სასაზღვრო ტერიტორიასთან, მისი ამოცანაა პროფესიული განათლების პროგრამის, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება - გადამზადების პროგრამების განხორციელება და მასში როგორც ადგილობრივი ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა ჩართვა.

კოლეჯი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა ნორმატიული აქტებითა და საკუთარი წესდებით.

### **კოლეჯის მისია**

კოლეჯის მისიაა რეგიონისა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვით მიაწოდოს მრავალპროფილური და ხარისხიანი პროფესიული განათლება. კოლეჯი ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც წარმატებულად დასაქმდებიან და ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

## ხედვა

2027 წელს წარმოადგენდეს მოქნილ საგანმანათლებლო დაწესებულებას, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და საგანმანათლებლო პროგრამებით, რომელიც წამყვანი იქნება რეგიონში, ექნება მაღალი ნდობა და აღიარება. სადაც ყველა სტუდენტი შეძლებს პიროვნულ და პროფესიულ ზრდას, გახდება წარმატებული ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

**კერძოდ:** თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, რაც კოლეჯს კონკურენტუნარიან საგანმანათლებლო დაწესებულებად აქცევს. სტუდენტთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა – მათი უნარების გაძლიერება და დასაქმების ხელშეწყობა. მოთხოვნადი პროფესიების სწავლების გაძლიერება, რაც შეესაბამება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კოლეჯის განვითარება, როგორც განათლებისა და დასაქმების დამაკავშირებელი პლატფორმა, სადაც სტუდენტები იღებენ არა მხოლოდ განათლებას, არამედ რეალურ სამუშაო შესაძლებლობებს. რეგიონული და საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოება, რაც სტუდენტებს საერთაშორისო გამოცდილების მიღების საშუალებას მისცემს.

## ღირებულებები

კოლეჯის საქმიანობა ეფუძნება ძირითადი ღირებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს მის უნიკალურობას და გამორჩეულობას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან:

- კოლეჯი მუდმივად აუმჯობესებს სწავლების მეთოდებს და უზრუნველყოფს განათლების მაღალი ხარისხის შენარჩუნებას.
- განათლების პროცესში კოლეჯი უზრუნველყოფს ობიექტურობას, გამჭვირვალობას და სამართლიან მიდგომას.

- კოლეჯი პასუხისმგებლობით ეკიდება სტუდენტების მომზადებასა და დასაქმების ხელშეწყობას.
- წარმატების მთავარი ფაქტორი მომხმარებელზე, სტუდენტებსა და დამსაქმებლებზე ორიენტირებული კოლაბორაციაა.
- კოლეჯის ძირითადი პრიორიტეტი მუშაობის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიონალების მომზადებაა.
- კოლეჯი ქმნის თანაბარ შესაძლებლობებს ყველა სოციალური ფენისთვის, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისთვის.
- კოლეჯი აქტიურად იღებს მონაწილეობას განათლების სისტემის გაუმჯობესებაში და ერგება თანამედროვე გამოწვევებს.

SWOT-ანალიზი გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების განსაზღვრას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

### ძლიერი მხარე

- კოლეჯის მრავალპროფილიანობა
- პროფესიული განათლების პრიორიტეტულობა სახელწიფოს მხრიდან
- გეოგრაფიული მდებარეობა/პოლიტიკური ნიშანი
- პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერა
- სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები და სივრცე
- განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობა

- პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა
- სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორიის ფუნქციონირება

### სუსტი მხარეები

- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე სარეკლამო კამპანიის შეზღუდული მასშტაბები;
- საერთო საცხოვრებლის არ არსებობა
- პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პრობლემები

### შესაძლებლობები

- პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებებში აქტიური ჩართვა.
- სწავლების ხარისხზე ორიენტირება
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მიღების შესაძლებლობა
- შრომის ბაზრის შესაბამისი კადრების მომზადება
- პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.
- პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციის ამაღლება
- ინოვაციური ლაბორატორიის საშუალებით სტარტაპების ჩამოყალიბება
- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება

2020-2026 წლის სტრატეგიული გეგმა ასახავს სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ განვითარების ძირითად ასპექტებს, რომელიც დაწესებულების მისიის განხორციელებისათვის განსაზღვრულია სასწავლებლის მომავალი შვიდი წლის განვითარების პრიორიტეტები, სტრატეგიული მიზნები და მიზნის მიღწევის ინდიკატორები

2020-2026 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა

სტრატეგიული მიზანი	მიზნის მიღწევის ინდიკატორი	საჭირო ინფორმაცია/წყაროები	ანგარიშების პერიოდი და ფორმა
სტრატეგიული მიზანი #1  პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-განხორციელება/ მომზადება გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების დაგეგმვა განხორციელება	შრომის ბაზრის ანალიზი	კვლევის შედეგები	წლიური ანგარიში
	დამატებული და განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანებები	წლიური ანგარიში
	საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შედეგები, მოკლევადიანი მიმზადება გადამზადების პროგრამების ანგარიში	
	საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების / ზოგადი განათლების ინტეგრირებული პროგრამების შემუშავება-განხორციელება	ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანებები	წლიური ანგარიში
	შემუშავებული და განხორციელებული მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამები	დამტკიცებული მოკლევადიანი მომზადება /გადამზადების პროგრამები, მსმენელთა ჩარიცხვის ბრძანებები	წლიური ანგარიში
სტრატეგიული მიზანი #2 სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა	გაუმჯობესებულია სტუდენტთა შეფასების შედეგები	სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები.	წლიური ანგარიში
	დანერგილია სწავლების ინოვაციური მეთოდები	სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები.სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერება	წლიური ანგარიში

	განვითარებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები	ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაცია, მონიტორინგის შედეგები. ვერიფიკაციის დასკვნა და რეკომენდაციები	წლიური ანგარიში
	კოლეჯის მასწავლებლთა და თანამშრომლთა მიერ გავლილი ტრენინგები	ტრენინგზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტები, სერტიფიკატები	წლიური ანგარიში
სტრატეგიული მიზანი #3  <b>პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები</b>	გაუმჯობესებულია პროფესიული სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერა	პროფესიული სტუდენტთა კვლევა, სხვადასხვა აქტივობების შესახებ პროექტების შესახებ ანგარიშები	წლიური ანგარიში
	გაზრდილია საზღვრისპირა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა	საზღვრისპირა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით განხორციელებული აქტივობები საზღვრისპირა რეგიონში	წლიური ანგარიში
	პროფესიულ სტუდენტებში განვითარებულია სხვადასხვა საკვანძო, კომპეტენციებს: სამეწარმეო და აქტიური მოქალაქისთვის საჭირო უნარები	განხორციელებული პროექტები, შეხვედრებისა და ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტები	წლიური ანგარიში
<b>სტრატეგიული მიზანი N4</b> <b>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია</b>	პარტნიორ ორგანიზაციების მოძიება, მათ შორის კავშირების ჩამოყალიბება და გაძლიერება, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება	პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები. საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის მონაცემები.	წლიური ანგარიში
	განვითარებულია დარგობრივი უნარები საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გზით (ინჟინერია, სოფლის მეურნეობა, ინფორმაციის ტექნოლოგია და სხვა.)	გაცვლითი პროგრამების მონაწილეთა ანგარიში.	წლიური ანგარიში



<p><b>სტრატეგიული მიზანი N 5</b></p> <p><b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b></p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის სასწავლო სახელოსნოების არსებობა</p>	<p>აშენებული სასწავლო სახელოსნოები შემდეგ პროგრამებში: კედლის დაფარვის სამუშაოები, იატაკისა და ფილის სამუშაოები, შედუღება და ხის მხატვრული დამუშავება. უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია</p>	<p>წლიური ანგარიში</p>
	<p>განვითარებულია დაწესებულებები ინფრასტრუქტურა</p>	<p>განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია</p>	<p>წლიური ანგარიში</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური რესურსით</p>	<p>კოლეჯის ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია. შემუშავებულია მატერიალური რესურსების გამოყენების რეგულაცია, ასევე სასწავლო პროცესის მასალებით უზრუნველყოფის მექანიზმები</p>	<p>წლიური ანგარიში</p>
	<p>განახლებულია სასწავლო და სტუდენტთა შეხვედრებისათვის განკუთვნილი სივრცეები</p>	<p>მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია .</p>	<p>წლიური ანგარიში</p>